შეთანხმების ოქმი

ქ.ბაღდათი 15 ივლისი 2016 წელი

ერთის მხრივ, ბაღდათის მუნიციპალიტეტი, გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის გელა მშვილდაძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ „ამირან ქოჩიაშვილი“, ამირან ქოჩიაშვილის სახით, ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის მიღწეულია შეთანხმება მასზედ, რომ შემსყიდველის წინადადების საფუძველზე, მხარეთა შორის შორის 2016 წლის 7 ივლისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №71 ხელშეკრულების თანახმად განსაზღვრულ სამუშაოებზე მოსამზადებელი ხარჯთაღრიცხვების ნუსხიდან ამოღებული იქნას „კურორტ უდაბნოში საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია“ და „თამარ მეფის #109-ში საყრდენი კედლის რეაბილიტაცია“ და მის ნაცვლად გათვალისწინებული იქნას „ქ. ბაღდათში 9 აპრილის ქუჩაზე მოქ. საბა მშვილდაძის კუთვნილ მიწაზე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია“ და „ე/წ ბაბანოურში 110 მეტრიანი გზის ბეტონის საფარის მოწყობა“. ამასთან მომსახურების მოწოდების ვადა ნაცვლად 18 ივლისისა განისაზღვროს 22 ივლისი. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ზემოთხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების პირობები და ხელშეკრულების სხვა პირობები რჩება უცვლელი.

წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად და წარმოადგენს მხარეთა შორის 2016 წლის 7 ივლისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №71 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტის გამგებლის მ/შ

გ. მშვილდაძე

ი/მ „ამირან ქოჩიაშვილი“

ა. ქოჩიაშვილი